ევროკავშირი

დახმარება კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის აფხაზეთში*

200-ზე მეტმა დაუცველმა ადამიანმა მიიღო გრძელვადიანი სურსათით დახმარება

განახლდა 3 საავადმყოფო და მომზადდა ექიმები და ექთნები

600-ზე მეტი ომის შედეგად დანგრეული სახლი აშენდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის

6000-ზე მეტი ადამიანი უზრუნველყოფილ იქნა უსაფრთხო სასმელი წყლით

მცირემასშტაბიანი სასოფლო-სამეურნეო პროექტების საშუალებით 1500-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო სტაბილური შემოსავალი

გაინაღმა 500 000 კვ.მ ფართობი

სრულად შეკეთდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის 3 ტურბინა, რამაც უზრუნველყო ელექტროენერგიის მიწოდება მდინარე ენგურის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობისთვის.

1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ევროკავშირმა დახმარების ბევრი პროგრამა განახორციელა. ეს დახმარება დღესაც გრძელდება.

ამ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტები კონფლიქტით დაზარალებული ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზეა მიმართული.

ამავდროულად, პროექტების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა მიზნად ისახავს საკუთარი სახლებიდან იძულებით დევნილთა შინ დაბრუნების ხელშემწყობი პირობების შექმნაში დახმარებას.

ევროკავშირი კვლავ რჩება ყველაზე დიდ დონორ ორგანიზაციად, რომელიც აფხაზეთის გაჭირვებულ მოსახლეობას პროექტების საშუალებით ეხმარება, კერძოდ:

- 1990 წლების კონფლიქტის შემდეგ, ევროკავშირმა თავისი საქმიანობა ჰუმანიტარული დახმარებით დაიწყო. ეს საქმიანობა თანდათანობით გაფართოვდა და მას უფრო გრძელვადიანი, რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტები შეემატა;
- ძირითადი ადგილობრივი ინფრასტრუქტურის - სკოლების, საავადმყოფოების და სასმელი წყლის სისტემის - განახლება;
- ომით დაზარალებული სახლების რეკონსტრუქცია ადგილობრივი მოსახლეობისა და შინ დაბრუნებულ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის;
- მცირე შემოსავლის მიღებაზე ორიენტირებული მცირემასშტაბიანი პროექტები, რომლებიც ეხმარება ფერმერებს და მცირე მეწარმეებს სიღარიბის დაძლევაში (მაგ. სათბურები, საცხობები, ხის საამქროები);
- ახალგაზრდებთან, ბავშვებთან და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა;
- დიალოგსა და ნდობის აღდგენაზე მიმართული შეხვედრები, სადაც ქართული და აფხაზური საზოგადოების (სამოქალაქო საზოგადოების, ახალგაზრდობის, აკადემიური წრეების და ა.შ.) წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს;
- დანაღმული ფართობების განაღმვა;
- ფართომასშტაბიანი განახლების სამუშაოები ენგურის/ვარდნილის ჰიდროელექტროსადგურზე;

ეს პროექტები საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო და სხვ.) და საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით ხორციელდება.

ევროკავშირი მზადაა, განაგრძოს კონფლიქტით დაზარალებული აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე მიმართული პროექტების განხორციელება.

* *აფხაზეთი გეოგრაფიული დასახელებაა და მისი ხმარება არ უნდა იქნას აღქმული დამოუკიდებლობის რაიმე ფორმით აღიარებად.*

„ევროკავშირი 27 წევრი ქვეყნისგან შემდგარი გაერთიანებაა. მისი წევრები წლების მანძილზე ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ და საერთო მომავლის შესაქმნელად თავიანთ რესურსებს აერთიანებდნენ. 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ერთად შექმნეს სტაბილური სივრცე დემოკრატიის და მდგრადი განვითარებისთვის. ამ პროცესში მათ შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ადამიანის პირადი თავისუფლებები. ევროკავშირის ამოცანა სწორედ ამ მიღწევების და ფასეულობების გაზიარებაა მის საზღვრებს მიღმა მყოფი ადამიანებისა და ქვეყნებისთვის.“

European Union

რა გაკეთდა ევროპული დახმარების საშუალებით?

- 1992-1993 წლების კონფლიქტის შემდეგ გაწეული ჰუმანიტარული დახმარების საშუალებით მოხერხდა ყველაზე მეტად დაუცველი ადამიანების აუცილებელი სურსათით, თავშესაფრით და ფსიქოლოგიური დახმარებით უზრუნველყოფა (18 წლის განმავლობაში 20 000 დაუცველი ადამიანისთვის დაახლოებით 100 მლნ ევრო გამოიყო);
- სამი ადგილობრივი საავადმყოფო გალში, ოჩამჩირესა და ტყვარჩელში სრულად განახლდა, ხოლო ექიმებმა და ექთნებმა გადამზადება გაიარეს;
- აღდგა სასმელი წყლის სისტემა გალში, ოჩამჩირესა და ტყვარჩელში, რამაც 6000-ზე მეტ ადამიანს უსაფრთხო სასმელი წყლის მოხმარების საშუალება მისცა;
- 600-ზე მეტი ომის შედეგად დაზარალებული სახლი ადგილობრივი მოსახლეობისთვის თავიდან აშენდა, იმ სახლების ჩათვლით, რომლებიც გალის რაიონში დაბრუნებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს ეკუთვნის;

- ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა შემოსავლის მიღებაზე მიმართული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების უფრო სტაბილური შემოსავლით უზრუნველყოფას. ეს საქმიანობა მოიცავდა, მაგალითად, ფერმერული მეურნეობების შექმნას მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის (ძროხა, თხა) მოსაშენებლად თუ სათბურების გასამართავად და ამ გზით მცირე ბიზნესის - სოფლის მადაზიების, საცხობების და მანქანების ან ელექტროსაქონლის სახელოსნოების გახსნას. ორი-სამი წლის განმავლობაში ბევრმა ასეთმა მეწარმემ შეძლო თვითდაფინანსებაზე გადასვლა;
- კანონის უზენაესობის პროექტების საშუალებით მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის სამართლებრივი დახმარება, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი სასამართლოებში და უფასო იურიდიული დახმარება;
- ახალგაზრდულ ცენტრებში შემუშავდა ღონისძიებები ახალგაზრდებისთვის. ეს ღონისძიებები მოიცავდა ტრეინინგს ადამიანის უფლებების და ტოლერანტობის საკითხებში, ფსიქო-სოციალურ დახმარებას და სახაფხულო ბანაკებს;
- 100-ზე მეტმა ადამიანმა ორივე მხრიდან მონაწილეობა მიიღო დიალოგებსა და ნდობის აღდგენაზე მიმართულ შეხვედრებში. მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიასა და კვიპროსში ერთობლივი ვიზიტებისას, ქართველებსა და აფხაზებს შესაძლებლობა ქონდათ ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ და შეედარებინათ ამ ქვეყნებში ნანახი კონფლიქტური სიტუაციების ტრანსფორმაციის და დაძლევის ევროპული გამოცდილება;
- ნაღმებისგან და აუფეთქებელი ჭურვებისგან გაიწმინდა 500 000 კვ.მ. ფართობი; შესაძლებელი გახდა ამ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება და ნიადაგის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება.
- დაბოლოს, ევროკომისიამ, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან ერთად, ფინანსური მხარდაჭერა გაუწია რეკონსტრუქციის ფართომასშტაბიან სამუშაოებს ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე. ენგურის/ვარდნილის კაშხალი საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზეა, ხოლო ელექტროსადგური - აფხაზეთის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე.

16.5 მლნ ევრო დაიხარჯა ენგურის/ვარდნილის ელექტროსადგურის 5-დან 3 ტურბინის სრულად შესაკეთებლად. დღეს ტურბინები მუშაობს და აწვდის ელექტროენერგიას მდინარე ენგურის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას. ამ პროექტმა აჩვენა, რომ თანამშრომლობა ქართველებსა და აფხაზებს შორის შესაძლებელია.

* * *

აფხაზეთში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების სრული ნუსხის მოსაპოვებლად, იხილეთ ევროკავშირის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რომლის განახლება ხდება ყოველთვიურად: ***www.delgeo.ec.europa.eu***

ევროკავშირის
წარმომადგენლობა
საქართველოში
ნინო ჩხეიძის 38
თბილისი 0102,
საქართველო
ტელ.: (995 32) 943763
ფაქსი: (995 32) 943768
eeas.europa.eu/delegations/georgia

www.eeas.europa.eu/delegations/georgia